საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა; №1 და №2-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.001.424), ორი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შპს „ასტორია 2012“-ის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2021 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა; №1 და №2-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.001.424), ორი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური საშუალების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს იქნა ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა; №1 და №2-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.001.424), ორი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური საშუალების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და საბელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებული არის შპს „გეოინჟკომპლექსი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2021 წლის აპრილში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ გეოლოგი ალ. ბასიაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი ამრეფილი კომპიუტერზე ---------- 10 გვ.
2. პროგრამა ---------- 2 გვ.
3. ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ.
4. მიწერილობა ---------- 1 გვ.
5. გრუნტების ლაბ. კვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი ---------- 1 გვ.
6. კლდოვანი ქანების ლაბ. კვლევის შედეგები ---------- 1 გვ.
7. ძარღვიანი ქანების ლაბ. კვლევის შედეგები ---------- 4 გვ.
8. ცხრილი გრუნტის წყლის ჭაბურღილებში შედგენილობაზე ---------- 4 გვ.
9. მიწების ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც.
10. საძიო გაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ---------- 2 ფურც.
11. მიწების გეოლოგიური ჭრილი ---------- 6 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს ორი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობა. დასაპროექტებელი შენობები 8 და 35 სართულიანებია, სარდაფის სართულებით. კონსტრუქციულად შენობები გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე დასაპროექტებელი შენობების კონტურის ფარგლებში, გაყვანილ იქნა 6 ჭაბურღილი – №№1 6, საიდანაც №№1 და 3 – 15.0 მ თითოეული, №2 – 12.0 მ, №№4, 5 და 6 – 20.0 მ თითოეული. სულ შესრულებული სამუშაოების მთლიანი მოცულობა შეადგენს 102.0 გრძივ მეტრს. ბურღვა ჩატარდა მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ-1 ვს" 160 მმ-ის დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით. სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის ფენების დასახასიათებლად, აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის 3 სინჯი, მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხა, ნახევრადმყარი კონსისტენციის;
3. ფენა 3 – კენჭნარი, ქვიშის შემავსებლით 30%-მდე.
4. ფენა 4 – ძირითადი ქანები – არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული;
5. ფენა 5 – ძირითადი ქანები – არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. ჩატარებულია დიდი მოცულობის საველე და ლაბორატორიული სამუშაოები. მოედნის სულ ზედა ფენა ტექნოგენური გრუნტია, იგი შენობის ფუძედ არ გამოდგება და ამიტომ მისი თვისებები არ არის გამოკვლეული. შემდეგი ფენა დელუვიური თიხოვანი გრუნტია, სიმძლავრით 0.50-1.00 მ. მომდევნო ფენა ალუვიური მსხვილნატეხოვანი გრუნტია, მას მოყვება ძირითადი ქანები არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. ზედა ფენა ძლიერ გამოფიტულია, მას მოსდევს იგივე ქანები, მხოლოდ გამოფიტვის თვალსაზრისით

გაცილებით მტკიცე არიან. ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია: მიმართების აზიმუტი ჩრდ. 350-360°, ხოლო ქანების დახრის კუთხე 25-30°. როგორც ავტორი აღნიშნავს ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ზვავი, სუფოზია, კარსტი და სხვა) განვითარება არ არის მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 5.0-7.4 მ სიღრმეზე. წყალი არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი №2, №1ა, №1 და №2-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.14.001.424), ორი მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტის საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

CV
ბუბა ჯოხონელიძე

კეკელიძის ქ. №43, ბინა 36
ტელ. 222-00-44
მობ. 599-50-72-21

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები.

დაბადების თარიღი: 1928 წლის 16 თებერვალი, ქ. თბილისი

კვალიფიკაცია: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პროფ. ატესტატის ПР №001715 1975цю
დოქტორის დიპლომის МТН №007499 20.04.1974წ.

პედაგოგიური აქტივობა: სალექციო კურსები: 1. გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები;
2. ქალაქის საინჟინრო ნაგებობები;
3. საინჟინრო გეოლოგია;

განათლება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (1950წ);
ს.ს.ი. – ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია (1963წ);
საქ. პოლიტექნ. და მელიორაციის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი (1950-1954წ);

თანამდებობები 1954-1982წ. საქ. მეცნ. აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი; 1974 წლიდან დირექტორის მოადგილე სამეცნიერო საქმეში;
1982წ. საქ. ტექნ. უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე – დღემდე.

1983 წლიდან შეითავსებდა მუშაობას **ილიაუნივერსიტეტისა** და საქართველოს გეოლოგიის ინსტიტუტში მთავარ მკვლევარ თანამშრომლად.

საშვილიშვილო მოღვაწეობა: გამოქვეყნებული აქვს 102 სამეცნიერო ნაშრომი, 2 გამოგონება, აქვს სახელმძღვანელო გრუნტების მექანიკის და ფუძე-საძირკვლებში (2002წ. გამოშვებული აქვს მონოგრაფია „საქართველოს დიათომეები" 1996წ. გ. ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ოთხმა მაისებელმა; 1995 წ. არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად;

2008 წელს საშვილიშვილო მოღვაწეობაში დაჯილდოვდა ვახტანგ VI-ის დარგობრივი ორდენით.

ზოგიერთი გამოქვეყნებული შრომა

1. გ. ჭოხონელიძე, ლ. ცერცვაძე საქართველოს ლიოხანებური გრუნტები, თბილისი 1997წ.
2. გ. ჭოხონელიძე, დ. კეკჭაძე გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები სახელმძღვანელო, თბილისი 2005წ.
3. გ. ჭოხონელიძე, ვ. ჯაფარიძე გრუნტების მექანიკა – სახელმძღვანელო, თბილისი 1994წ.
4. გ. ჭოხონელიძე, ქ. თბილისში თექის დახასიათების IV მეცნიერ-ტექნიკურ კონფერენციაზე გასულიანებული სტატიის პრეზენტაცია, თბილისი, პეტროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XIV ტომი 2008წ.
5. გ. ჭოხონელიძე, ქ. თბილისში არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მონუმენტალურობის განსაზღვრის მეთოდის შესახებ, თბილისი, პეტროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XIV ტომი 2008წ.
6. გ. ჭოხონელიძე, საინჟინრო ხაზებობებში – სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ლეილა", 1912წ.

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

— ★ —

МВС № 007499

Москва 2 декабря 1961

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 2 декабря 1961 г. (протокол № 3)

Чхеидзе Гуре Ивану

присуждена ученая степень доктора
технических наук

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

ПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 23 января 1979 г. (протокол № 4)

Чохонелидзе Гуре Ильичу

 присвоено ученое звание

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрогеологических и инженерной геологии

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии



დიპლომი

№ 106169